

ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოს მთავრობას

და

[კომპანიის დასახელება]

თარიღი: \_\_\_\_/\_\_\_\_/\_\_\_\_

თბილისი, საქართველო

წარმოდგენილი ურთიერთგაგების მემორანდუმი (შემდგომში „მემორანდუმი“) დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“), წარმოდგენილი [●] მიერ;

მეორე მხრივ, **[კომპანიის დასახელება]** (შემდგომში „კომპანია“), ს/კ: [●], წარმოდგენილი **[სახელი, გვარი, პირადი ნომერი]** მიერ;

დებენ წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმს (შემდგომში „მემორანდუმი“) შემდეგზე:

## I - განმარტებები

1. წინამდებარე მემორანდუმში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
  - 1.1. „**დღე/დღეები**“ ნიშნავს კალენდარულ დღეს/დღეებს.
  - 1.2. „**სამშენებლო გარანტია**“ ნიშნავს სამშენებლო ფაზის ფარგლებში კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მის მიერ საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ წარმოდგენილ საბანკო გარანტიას, რომლის ვადაც არანაკლებ 5 (ხუთი) თვით უნდა აღემატებოდეს ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების საბოლოო ვადას.
  - 1.3. „**ელექტროსადგური**“ ნიშნავს მემორანდუმის დანართი N1-ით განსაზღვრულ ჰიდროელექტროსადგურს - „ლუხუნი 2“.
  - 1.4. „**ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევა**“ ნიშნავს კომპანიის მიერ მოსამზადებელ კვლევას/ანგარიშს, რომელიც უნდა ადასტურებდეს პროექტის განხორციელების ტექნიკურ, ეკონომიკურ, ფინანსურ და იურიდიულ მიზანშეწონილობას.
  - 1.5. „**სამინისტრო**“ ნიშნავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.
  - 1.6. „**მხარეები**“ ნიშნავს მთავრობასა და კომპანიას ერთობლივად.
  - 1.7. „**პროექტი**“ ნიშნავს ელექტროსადგურის მშენებლობას, ფლობასა და ოპერირებას.
  - 1.8. „**სახელმწიფო**“ ნიშნავს საქართველოს.

## II - მიზანი

1. მემორანდუმის მიზანია კომპანიის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და ამ მემორანდუმით განსაზღვრული პირობებისა და ვადების შესაბამისად პროექტის განხორციელება.

### III - სამშენებლო ფაზა

2. სამშენებლო ფაზა იწყება წინამდებარე მემორანდუმის ხელმოწერის დღეს და სრულდება ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების ფაქტობრივ დღეს, მაგრამ არაუგვიანეს მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ვადისა.

3. კომპანია, სამშენებლო ფაზის განმავლობაში ვალდებულია, უზრუნველყოს პროექტის ეფექტური განხორციელებისთვის საჭირო ფულადი სახსრების მოზიდვა, განახლოს და დაასრულოს ელექტროსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაციაში მიიღოს იგი, წინამდებარე მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ვადების დაცვით.

4. სამშენებლო ფაზის განმავლობაში კომპანია ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის, სამინისტროს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან/და სხვა ნებისმიერი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს სრული და თავისუფალი წვდომა, ელექტროსადგურის სამშენებლო პროცესის მონიტორინგის მიზნით, და შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს სამშენებლო მასალების ხარისხისა და უსაფრთხოების მონიტორინგი.

5. კომპანიის მიერ მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ნებისმიერი ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიის დაჯარიმებას თითოეულ დარღვეულ ვადაზე შემდეგი ოდენობით:

– პირველი 20 დღის განმავლობაში - 200 აშშ დოლარი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

– შემდეგი 20 დღის განმავლობაში - 300 აშშ დოლარი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

– მომდევნო 20 დღის განმავლობაში - 400 აშშ დოლარი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

– მომდევნო პერიოდზე მემორანდუმის გაუქმებამდე - 500 აშშ დოლარი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. მთავრობა უფლებამოსილია, სამშენებლო გარანტიით გათვალისწინებული თანხა გამოითხოვოს სრულად ან ნაწილობრივ შემდეგ შემთხვევებში, თუ:

6.1. კომპანიამ შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში არ გადაიხადა მემორანდუმის მე-5 მუხლის შესაბამისად დაკისრებული ჯარიმა - გადაუხდელი ჯარიმის ოდენობით;

6.2. მთავრობა მემორანდუმის პირობების შესაბამისად წყვეტს მემორანდუმს - არსებული სამშენებლო გარანტიის სრული ოდენობით.

#### IV - ელექტროენერჯის რეალიზაცია

7. ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან სრული ექსპლუატაციის პერიოდში, ყოველი წლის ზამთრის თვეებში (დეკემბერი, იანვარი, თებერვალი („ზამთრის თვეები“)) ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის სრული რეალიზაცია უნდა განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს შიდა მოხმარების უზრუნველსაყოფად, კომპანიის არჩევანით, საქართველოში არსებულ ნებისმიერ მყიდველზე თავისუფალ (დერეგულირებულ) ფასად. აღნიშნული პერიოდის გარდა, კომპანია უფლებამოსილია, განახორციელოს ელექტროენერჯის რეალიზაცია (ადგილობრივ ბაზარზე ან/და ექსპორტზე), საკუთარი შეხედულებისამებრ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

#### V - მემორანდუმის გაუქმება

8. მთავრობა უფლებამოსილია ცალმხრივად, კომპანიისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს მემორანდუმი შემდეგ შემთხვევებში, თუ:

8.1. კომპანიის მიერ დარღვეულია წინამდებარე მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ვადები საერთო ჯამში 200 (ორასი) დღეზე მეტი ვადით ან/და კომპანიის მიერ დარღვეულია წინამდებარე მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული რომელიმე ვადა ერთჯერადად 30 (ოცდაათი) დღეზე მეტი ვადით;

8.2. კომპანიამ უარი თქვა პროექტის განხორციელებაზე;

8.3. კომპანიამ არსებითად დაარღვია მემორანდუმის ან/და მისი დანართების ნებისმიერი პირობა.

9. მთავრობის მიერ მემორანდუმის შეწყვეტის შემთხვევაში, კომპანიას ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება, რა შემთხვევაშიც მთავრობა უფლებამოსილია გამოაცხადოს ღია აუქციონი (აუქციონის საწყისი ფასი განისაზღვრება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადგენილ საბაზრო ფასად) პროექტის განხორციელების თაობაზე. ამასთან, კომპანია, თავის მხრივ, ვალდებულია, აუქციონში გამარჯვებულ პირს, აუქციონში დაფიქსირებული თანხის სანაცვლოდ,

გადასცეს ექსკლუზიური საკუთრების უფლებები პროექტის განხორციელებისთვის საჭირო აქტივებზე სრულად, მათ შორის:

9.1. შესაბამისი უფლებები პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გადაცემის მომენტისათვის უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო;

9.2. კომპანიის ხელთ არსებულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშებზე, ისევე როგორც პროექტთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტსა და ნახაზზე (მათ შორის, კომპანიის მიერ შემუშავებულ დოკუმენტებზე).

10. კომპანია უფლებამოსილია ცალმხრივად, მთავრობისთვის 90 (ოთხმოცდაათი) დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, შეწყვიტოს მემორანდუმი, თუ მთავრობა არსებითად დაარღვევს მემორანდუმით ნაკისრ ვალდებულებებს.

11. კომპანიის მიერ მემორანდუმის შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:

11.1. სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცემა უფლებები (მათ შორის, საკუთრების უფლება) პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გადაცემის მომენტისათვის უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო;

11.2. კომპანიას ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება;

11.3. კომპანიის ხელთ არსებულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე, ისევე როგორც პროექტთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტსა და ნახაზზე (მათ შორის კომპანიის მიერ შემუშავებულ დოკუმენტებზე) ექსკლუზიური საკუთრების უფლება უსასყიდლოდ გადაეცემა მთავრობას;

11.4. კომპანია უფლებამოსილია, მოითხოვოს და მიიღოს მის მიერ პროექტის ფარგლებში განხორციელებული აუდიტირებული და დოკუმენტირებული საინვესტიციო დანახარჯი;

11.5. მთავრობამ კომპანიას უნდა დაუბრუნოს არსებული საბანკო გარანტია კომპანიის მიერ მოთხოვნიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

## VI - მთავრობის ვალდებულებები

12. მთავრობა ვალდებულია:

12.1. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მაქსიმალური დახმარება გაუწიოს კომპანიას პროექტის განხორციელების პროცესში, მათ შორის, საჭირო ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ

კომპანია სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

12.2. პროექტის განხორციელების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, მთავრობა უზრუნველყოფს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შესაბამისი მიწის ნაკვეთების კომპანიისთვის გადაცემას, იმ პირობით, რომ კომპანია სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

## VII - მემორანდუმის ცვლილება

### 13. ცვლილებები

13.1. წინამდებარე მემორანდუმის ცალკეული დებულება შეიძლება შეიცვალოს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13.2. თუ მემორანდუმის რომელიმე დებულება დაკარგავს ძალას, ეს არ იქონიებს გავლენას სხვა დებულებებზე.

## VIII - მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავის გადაწყვეტა

14. მემორანდუმი დადებულია და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

15. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე მემორანდუმთან დაკავშირებით, გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## VIII - ფორს-მაჟორი

16. ფორს-მაჟორი ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას, რომელიც ორივე მხარის გონივრული კონტროლის მიღმაა და მისი წარმოქმნის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო მემორანდუმის დადების მომენტისათვის, მათ შორის: ომი, რევოლუცია, ამბოხი, აჯანყება, შეიარაღებული კონფლიქტი, უცხოური მოწინააღმდეგის მიერ ჩადენილი მტრული ქმედება, ბლოკადა, ემბარგო, ტერორისტული აქტი, საბოტაჟი, სამოქალაქო არეულობა, რადიაცია, ბიოლოგიური ან ქიმიური დაბინძურება, იონიზებული რადიაცია, აფეთქება, ხანძარი, ეპიდემია, ციკლონი, მეწყერი, მიწისძვრა, წყალდიდობა, ვულკანის ამოფრქვევა, სხვა სტიქიური ან ნებისმიერი უბედურება ან მსგავსი მოვლენა.

17. იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოება ხელს შეუშლის მემორანდუმით გათვალისწინებული ნებისმიერი მხარის ვალდებულების ან/და უფლებამოსილების შესრულებას, აღნიშნული დარღვევა ჩაითვლება საპატიოდ და მეორე მხარეს არ

ექნება უფლება შეწყვიტოს მემორანდუმი ამ საფუძვლით, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ასეთ შემთხვევაში, მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევს ფორს-მაჟორული მოვლენების არსებობის ვადის შესაბამისად.

18. იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოება გრძელდება ერთ წელზე მეტი ვადით, ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე მემორანდუმი, მეორე მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

### IX - დამატებითი დებულებები

19. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.

20. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად.

### X - ხელმოწერები

საქართველოს მთავრობა

---

[•]

შპს/სს [•]

---

[•]

დანართი N1

დასახელება	ადგილმდებარეობა	მდინარის ნიშნულები მეტრი ზღვის დონიდან		წლიური გამომუშავება	სიმძლავრე
ლუხუნი 2	რაჭა-ლეჩხუმის რეგიონი, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, მდ. ლუხუნი	1170	890	73,58 მლნ.კვტ.სთ	12 მგვტ



## დანართი N2

მშენებლობის განახლების თარიღი	
ექსპლუატაციაში მიღების თარიღი	მემორანდუმის ხელმოწერიდან 24 თვე

შედარების თარიღები							
-----------------------	--	--	--	--	--	--	--

### შესასრულებელი სამუშაოები

გვირაბის გაყვანა							საცდელი პერიოდი
გვირაბის ბეტონირება							საცდელი პერიოდი
სათავე კვანძის ნაგებობის მშენებლობა				მიწის სამუშაოების დასრულება და ბეტონის 50%-ის ჩასხმა	სათავე კვანძის ნაგებობის დასრულება		საცდელი პერიოდი
ჰესის შენობის მშენებლობა	მისასვლელი გზების მშენებლობის დაწყება	მისასვლელი გზების მშენებლობა	მისასვლელი გზების მშენებლობის დასრულება ჰესის შენობის მშენებლობის დაწყება	მიწის სამუშაოების დასრულება და ფუნდამენტის ჩასხმა	ჰესის შენობის და გამყვანი არხის მშენებლობის გაგრძელება	ჰესის შენობის მშენებლობის დასრულება	საცდელი პერიოდი
ტურბინა გენერატორები		ტურბინა- გენერატორებ ზე შეკვეთის გახსნა	ტურბინა- გენერატორების დამზადება	ტურბინა- გენერატორების დამზადება	ტურბინა- გენერატორების ადგილზე ჩამოტანა	ტურბინა- გენერატორების მონტაჟის დასრულება	საცდელი პერიოდი
110 კვ გადამცემი ხაზის მშენებლობა (18 კმ)	პროექტირების დაწყება	პროექტირება	პროექტირების დასრულება	ტრასის 6 კმ მონაკვეთის გასუფთავების, გზების გაყვანის, ანძების მონტაჟის დასრულება	ტრასის 6 კმ მონაკვეთის გასუფთავების, გზების გაყვანის, ანძების მონტაჟის დასრულება	მშენებლობის დასრულება	საცდელი პერიოდი